საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ერთობლივი ბრძანება №17/04-№39
2014 წლის 7 თებერვალი

ქ.თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №10/01–№51 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებთ:

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №10/01-N51 ერთობლივი ბრძანებით (სსმ III, 03.02.2010, №13, მუხ.151) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის შემდეგ დაემატოს 4^1 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4^1. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ემისია) ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის

1. გამოცხადებულ ემისიაზე დამატებით, ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის, ფინანსთა სამინისტრო უშვებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს.
2. ფინანსთა სამინისტრო, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, წინასწარ განსაზღვრავს ამ მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიების მაქსიმალურ მოცულობებს, ასევე თითოეული ბანკისათვის შესაძენი ფასიანი ქაღალდების დასაშვებ მაქსიმალურ მოცულობას საბანკო სექტორში ბანკის სააქციო კაპიტალის წილის შესაბამისად და სხვა დამატებით პირობებს, რის შესახებაც წინასწარ ეცნობებათ ბანკებს.
3. აუქციონის ჩატარების შეტყობინებაში ცალკე მიეთითება ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და მოცულობა.
4. ამ მუხლის შესაბამისად გამოსაშვები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია ხორციელდება აუქციონის მეშვეობით, ამავე აუქციონზე წარდგენილი კონკურენტული განაცხადების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით.
5. ამ მუხლის შესაბამისად გამოსაშვები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესაძენად აუქციონის დაწყებამდე, აუქციონზე განაცხადების წარდგენის განსაზღვრული წესით ბანკი აგზავნის შესაბამის არაკონკურენტულ განაცხადს, რომელიც შესაძლებელია აღემატებოდეს ამ დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ლიმიტს.
6. თითოეული ბანკისათვის დაწესებული ლიმიტის ფარგლებში ავტომატურად კმაყოფილდება ამ მუხლის შესაბამისად გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების არაკონკურენტული განაცხადი, რომელიც ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით არის წარდგენილი.“.

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განაცხადების მიღება იწყება აუქციონის დღეს, აუქციონის დაწყებამდე 15 წუთით ადრე და წყდება აუქციონის დაწყების მომენტში.“.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტი მოქმედებს 2015 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს ეროვნული ბანკის

პრეზიდენტი
ფინანსთა მინისტრი

გიორგი ქადაგიძე

ნოდარ ხადური